



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 49240549

თარიღი:23/02/2024

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ანგარიში

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ
2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სოციალურ ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაციას. სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობას. და ასევე სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით საანგარიშო წელს განხორციელდა შემდეგი სოციალური და ჯანდაცვის პროგრამა:

1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღევრძელ პირთა დახმარება
2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.
3. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯები
4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარება
5. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება
6. სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა დახმარება
7. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების დახმარება.
8. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და შეძენის ქვეპროგრამა.

აღნიშნული პროგრამების ფარგლებში დახმარება გაეწია:

ას წელს გადაცილებულ პირებს - 1000 ლარით

მრავალშვილიან ოჯახებს , 500-700 და 1000 ლარით.

იძულებით გადაადგილებულ პირთა სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის , გარდაცვლილის ოჯახებს 250 ლარით.

დიდი სამამულო ომის მონაწილეებს – 1000 ლარით

ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე პირებს 350 ლარით

დედ-მამით ობოლი ბავშვებს დახმარება –400 ლარით

ცერებრალური დამბლით დაავადებულ პირებს- 500 ლარით

ა(ა)იპ „სათნოების სახლის“ ბენეფიციარის დახმარება სააღდგომოდ 100 ლარი და საახალწლოდ 100 ლარით

მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დახმარება, რომელსაც სტატუსი მიენიჭა თვალის დაავადების დიაგნოზით – 400 ლარით

თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე:ჰემოდიალიზზე და პერიტონეულ დიალიზზე დამოკიდებულ მოქალაქეებს–2000 ლარით

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს 300 ლარით

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილის, სახელმწიფო გასაცემლის(კონპენსაცია, საპენსიო პაკეტი, საყოფაცხოვრებო სუბსიდია) მიმღებთ -350 ლარით.

სხვა სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ომის მონაწილეებს - 350 ლარით.

2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირის ოჯახის (ოჯახის წევრის რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად) – 1800 ლარით

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო ოჯახის, პირის (საცხოვრებელი სახლი დაინგრა,დაიწვა ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გახდა სტიქიური უბედურების,უბედური შემთხვევის ან სხვა გარემოების გამო დარჩა უსახლკაროდ და არ გააჩნია ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი) დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირის ასანაზღაურებელი თანხის გაცემა თვეში არაუმეტეს 250 ლარით.

ოჯახში ძალადობის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირის (პირთა) დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირის ასანაზღაურებელი თანხის 250 ლარით.

ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული პირის დახმარება (გინეკოლოგის ან / და რეპროდუქტოლოგის დახმარება კონსულტაცია ან / და შესაბამისი სამედიცინო კვლევები) არაუმეტეს 200 ლარით

2023-2024 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრი „ჩვენი სახლის“ ბენეფიციარი ბავშვის დახმარება 150 ლარით.

სოციალურად დაუცველ ოჯახის, რომელიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებულია 0-დან 65 000 ქულის ჩათვლით, პირველ და მეორე ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება - 300 ლარით

ონკოლოგიური დაავადების მქონე 18 წლამდე ბავშვების (ლეიკემია, ლიმფოგრანულომატოზი, ანემია, სხვადასხვა სახის სიმსივნეები) –1500 ლარით

ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დახმარება 1500 ლარით

მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირის დახმარება -300 ლარით

ფსორიაზით დაავადებულ პირთა დახმარება -400 ლარით

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სტუდენტების სწავლის საფასურის თანადაფინანსება, რომლებიც სწავლობენ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და მათი სოციალური მდგომარეობა მძიმეა მშობლების გარდაცვალების ან/და უგზოუკვლოდ დაკარგვის გამო. სტუდენტების თანადაფინანსება განისაზღვროს გადასახდელი თანხის 50% არაუმეტეს 2000 ლარით

სპეციალიზირებულ დაწესებულებიდან (მათ შორის მინდობით აღზრდიდან) ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან / მზრუნველთან საცხოვრებლად დაბრუნებულ თითოეულ ბავშვს, ოჯახის გაძლიერების მიზნით, წელიწადში ორჯერ, ექვს თვეში ერთხელ 250 ლარი, წელიწადში 500 ლარით

პარკინსონით დაავადებულ პირთა ერთჯერადი დახმარება -400 ლარით

2023-2024 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 0-დან 120000) ქულის ჩათვლით პირველკლასელებისათვის სასკოლო ნივთების შესაძენად - 100 ლარით

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული წარჩინებული პირველკურსელებისათვის, რომელთაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების

საფუძველზე მოიპოვეს სახელმწიფო სასწავლო 100%-იანი გრანტი, 2023-2024 წლის განმავლობაში ყოველთვიური სტიპენდია -200 ლარით.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეებს სამედიცინო დახმარების თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწიათ გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციების მათ შორის თვალის კოსმეტიკური სახის ან ცხვირის რინოპლასტიკის რეკონსტრუქციული ფორმის ოპერაციების, (სამედიცინო ჩვენებით), სხვა სამედიცინო მომსახურება-იოდოთერაპია, რადიოსიხშირული აბლაცია, ლითოტრიფსია, ქიმიო, ჰორმონო, სხივური თერაპია და სხვა. ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული და სხვა სახის კვლევებისათვის, ასევე დახმარება გაეწიათ სხვადასხვა დაავადების მქონე 18 წლამდე ბავშვებს, რომელთა აუცილებელი სამედიცინო მომსახურება ვერ მოხერხდა საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში ან/და ნაწილობრივ დაფინანსებულია საქართველოს შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი პროგრამებით. მუნიციპალიტეტის მხრიდან მატერიალური დახმარების სახით გაიცა თანხა 5000 ლარის ოდენობით.

სამედიცინო თანადაფინანსების პროგრამით ფინანსდებიან ასევე 2 წლიდან 15 წლის ასაკის ჩათვლით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვები, რომლებსაც გააჩნიათ დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) განვითარების ზოგადი აშლილობების (F84.0 - F84.9) ჯგუფის დიაგნოზები პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება ყოველთვიურად იმ ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელი ორგანიზაციის სარეაბილიტაციო მომსახურებაშია ჩართულია ბენეფიციარი. ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, არაუმეტეს თვეში 420 ლარისა.

სამედიცინო თანადაფინანსების პროგრამით ასევე მედიკამენტების შესაძენად დაფინანსდა განსაკუთრებით მძიმე და საშიში დაავადების მქონე პირები. ასევე დაფინანსდა ბავშვთა ადრეული განვითარების სპეციალისტების ტრანსპორტირების ხარჯები, რომელიც ბავშვისთვის ბუნებრივ გარემოში (სახლი, ბაღი, და აშ) ანხორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 0-დან 7 წლამდე ბავშვთა ადრეული განვითარების მხარდაჭერის პროგრამის მიწოდებას, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვებისათვის. ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება ხდებოდა თვეში ერთხელ, არაუმეტეს 450 (ოთხასორმოცდაათი) ლარისა, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციის ანგარიშზე.

სტიქიის, ხანძრის შედეგად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების კუთვნილ საცხოვრებელ სახლზე (ბინაზე) მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით გაიცა ფულადი დახმარებები, თითოეულ დაზარალებულზე არაუმეტეს 5000 ლარისა.

განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებისა და დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდნენ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში

რეგისტრირებული ბავშვიანი ოჯახები, რომლებიც იმყოფებოდნენ მძიმე სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობაში და საჭიროებენ დახმარებას, ოჯახის გაძლიერების მიზნით. ერთ ოჯახზე მისაწოდებელი საქონლის/მომსახურების ღირებულებამ შედგინა 2000 ლარი.

სოციალური პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდნენ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 0-დან 12000-ის ჩათვლით) ოჯახები, დაიწყო მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობა, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების ხარისხის მიხედვით საცხოვრებლად უვარგისი იყო ექვემდებარებოდა დემონტაჟს ან არ გააჩნდათ სხვა ალტერნატიული საცხოვრებელი ფართები.

2023 წელს საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილდა ორი მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახი.

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებით, საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია 3440 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეს.